

საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
სსიპ "საქართველოს
საკანონმდებლო მაცნე"



MINISTRY OF JUSTICE OF
GEORGIA
LEPL THE SAKANONMDEBLO
MATSNE



KA011556764879714

თბილისი, ირ.აბაშიძის №68

ტელ: 2 94 16 42; 2 94 16 58 matsne@justice.gov.ge

№ 56

15 / მაისი / 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის №235 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ დებულების მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – 2000 ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი – 2000 ფურცლამდე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარი ინიციატივით ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 8 იანვრის №1 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6, მე-12 კილომეტრი.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს
თავმჯდომარე



გიორგი პატარიძე